ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2894213

ნომერი: AR1447409

თარიღი : 07.10.2016

გაცემის თარიღი : 18.10.2016

გაცნობის თარიღი : 18.10.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აკაკი ბელიაშვილი , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ გულორდავა პ/ნ 19001106529
- ზუგდიდი თეთრი გიორგის ქ. N 55

ორგანიზაცია:
- შპს ლაქი დრაივ კოდი: 420423606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა  თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: არქიტექტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი საკითხი გადაგზავნილი იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში, ტერიტორიაზე არსებული გზის გაფართოების შეზღუდვის გათვალისწინებით. აღნიშნული სამსახურის მიერ დადებითი შეფასება მიეცა ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელებას, მხოლოდ დროებითი )საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების და მისი საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით დემონტაჟის პირობით.

ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე, რაც გაიცემა II კლასის მშენებლობისათვის დადგენილი წესით, მით უფრო საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (იგი განლაგებულია სახელმწიფო მაგისტრალზე) და იმის მხედველობაში მიღებით, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპი უკვე დაწყებულია.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ  შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.